

# შპს „ალპედე“

ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი, ბეტონის  
ხსნარისა და ბეტონის ნაკეთობათა საწარმოს

## სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი: შპს „სამნი“  
დირექტორი: თ.კეპულაძე  
მობ.: 5 91 15 72 72

შპს „ალპედე“  
დირექტორი: გ. კოვზირიძე  
მობ.: 5 99 73 67 67

შინაასი

1. შესავალი.....	2
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა და ტერიტორიის დახასიათება .....	3
3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი .....	11
4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი.....	12
5. ობიექტის წყალმომარაგება წყალარინება.....	18
6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში .....	21
6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება .....	21
6.2. ხმაურის ზემოქმედება.....	30
6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე.....	31
6.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე.....	32
6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	33
6.6. ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე.....	34
6.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.....	34
6.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.....	35
6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	36
6.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	37
6.11. ავარიული რისკები .....	37
6.12. კუმულაციური ზემოქმედება.....	38
6.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.....	39
7. საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი.....	40
დანართი 1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება. ....	42
დანართი 2. ნაკვეთი 32.11.31.819 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	51
დანართი 3. ნაკვეთი 32.11.31.041 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	53
დანართი 4. ნაკვეთი 32.11.31.306 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	55

## 1. შესავალი

შპს „ალპედე“ (ს/კოდი 230077582) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის ტერიტორიაზე 2016 წლიდან ფლობს ბეტონისა და სამშენებლო ბლოკის საწარმოს, რომლისთვისაც შემუშავებული და 2016 წლის 19 მაისს სამინისტროსთან შეთანხმებული ქონდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

2018 წლის 01 იანვრის შემდეგ ტერიტორიაზე დამატებით მოეწყო ქვიშახრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზი, რომელიც გათვალისწინებული არ იყო სამინისტროსთან შეთანხმებული ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშით.

რადგან ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტში, მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, საქმიანობის განმახორციელებელის მიმართ 2021 წლის 27 იანვარს შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი N059765 ადს 79<sup>7</sup> მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის. საქმის მასალები განიხილა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ, რომლის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილებით შპს „ალპედე“ ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად და დაედო ადმინისტრაციული სახდელი (დანართი 1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის მიერ შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.


ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
ოპერატორი კომპანია	შპს „ალპედე“
საიდენტიფიკაციო კოდი	230077582
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №22
ფაქტიური მისამართი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი სვირი
საქმიანობის სახე	ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი, ბეტონის ხსნარისა და ბეტონის ნაკვეთობათა საწარმო
დირექტორი	გიორგი კოვზირიძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 73 67 67
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
პროექტის განხორციელების ადგილი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი სვირი
დაკავებული მიწის ნაკვეთი	შპს „ალპედე“-ს საკუთრებაში არსებული (საკ.კოდი 32.11.31.819.) და ამირან დეკანოსიძისაგან იჯარით აღებული ნაკვეთები (32.11.31.041 და 32.11.31.306)
საპროექტო წარმადობა წელიწადში	60 000 მ <sup>3</sup> ქვიშა-ხრემის მსხვრევა-დახარისხება (მიღებული პროდუქცია 57 000მ <sup>3</sup> ); 0-40 ფრაქციის მისაღებად 310მ <sup>3</sup> ქვიშა-ხრემის მსხვრევა (მიღებული პროდუქცია 300მ <sup>3</sup> ); 50 000ცალი სამშენებლო ბლოკი; 30 000 მ <sup>3</sup> ბეტონის ხსნარი
ქვისა-ხრემის დამუშავების მეთოდი	სველი
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	250
ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში, სთ	8სთ
გამოყენებული რესურსები	
ქვიშა-ხრემი	მოპოვებული ლიცენზირებული კარიერებიდან
ტექნიკური წყალი	მდ. ყვირილადან
დამორება უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან	250 მ

## 2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა და ტერიტორიის დახასიათება

საწარმო განთავსებულია მისსავე საკუთრებაში არსებულ (ნაკვეთი 32.11.31.819, ფართობი 4 330მ<sup>2</sup>) (დანართი 2) და ამირან დეკანოსიძისაგან იჯარით აღებულ არასასოფლოსამეურნეო ნაკვეთებზე (ნაკვეთი 32.11.31.041, ფართობი 4345მ<sup>2</sup> და ნაკვეთი 32.11.31.306, ფართობი 9985მ<sup>2</sup>) (დანართი 3 და დანართი 4). განსახილველი მიწის ნაკვეთები დატანილია ნახაზზე 2.1.


ტერიტორია მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი სვირის ტერიტორიაზე, ზესტაფონი - ბაღდათის საავტომობილო გზის სამხრეთით (სურათი 2.1) მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირზე (სურათი 2.2), რომელიც საწარმოდან დაშორებულია 50 მ-ზე მეტი მანძილით. უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს განსახილველი ტერიტორიის სამხრეთით 250 მ დაშორებით (ნახაზი 2.2 და ნახაზი 2.3).



ნახაზი 2.1. საწარმოს განთავსების ნაკვეთები.



სურათი 2.1. საწარმოს ხედი საავტომობილო გზიდან.



სურათი 2.2. საწარმოს ტერიტორია მდ. ყვირილას მარცხენა სანაპიროდან.

საწარმოს ტერიტორია ვაკე რელიეფისაა, ოდნავ დახრილია მდ.ყვირილასაკენ. ყვირილას მარცხენა სანაპირო წარმოადგენს ფერდობს (სურათი 2.3.). უახლოესი სახლი (სურათი 2.4 და ნახაზი 2.3) მდებარეობს საწარმოს ტერიტორიიდან ჰიფსომეტრულად მაღლა +28 მ დონეზე (ნახაზი 2.5).



სურათი 2.3. ხედი საწარმოს ტერიტორიიდან სამხრეთით. ყვირილას მარცხენა სანაპირო.

მდინარე ყვირილას მარცხენა ნაპირზე განთავსებულია ტყის კონტური (ნახაზი 2.4). საწარმოს ტერიტორიასა და მდინარის აქტიურ კალაპოტს შორის ტერიტორია დაფარულია ბალახოვანი და ხე მცენარეებით (სურათი 2.5)



სურათი 2.4. უახლოესი საცხოვრებელი სახლი.



სურათი 2.5. საწარმოს ტერიტორიიდან მდინარე ყვირილას სანაპირო.

ტერიტორიების წვეროთა ნუმერაცია მოცემულია 2.6 ნახაზზე, GPS კოორდინატები 2.1 ცხრილში.



ნახაზი 2.2. სიტუაციური გეგმა






ნახაზი 2.3.



ნახაზი 2.4. ტყის კონტური



ნახაზი 2.5. ტერიტორიის პროფილი



ნახაზი 2.6. ნაკვეთის წვეროთა ნუმერაცია

ცხრილი 2.1.

ნაკვეთის კოდი	წერტილის ნომერი	GPS კოორდინატები		ნაკვეთის კოდი	წერტილის ნომერი	GPS კოორდინატები	
		X	Y			X	Y
32.11.31.306	1	332479	4665045	32.11.31.819	9	332531	4664998
	2	332511	4665096		10	332527	4664993
	3	332523	4665096		11	332554	4664949
	4	332504	4665063		12	322599	4664904
	5	332594	4665014		13	332611	4664895
	6	332613	4665053		14	332620	4664908
	7	332640	4665042		15	332644	4664956
	8	332613	4664923		16	332649	4664987
32.11.31.041	3	332523	4665096		17	332640	4665042
	4	332504	4665063		18	332640	4665038
	5	332594	4665014				
	6	332613	4665053				

საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი მოქმედი საწარმო ობიექტი - ავტოგასამართი სადგური განთავსებულია დასავლეთით (სურათი 2.6), საავტომობილო გზის მეორე მხარეს, ასევე დასავლეთით მდებარეობს გაუქმებული ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს ტერიტორია (ტერიტორიიდან მოხსნილი და გატანილია ტექნოლოგიური დანადგარები).



სურათი 2.6. დასავლეთით არსებული ავტოგასამართი სადგური.

500 მ-იან რადიუსში სხვა საწარმო ობიექტები არ არის განთავსებული. განსახილველი ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

### **3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი**

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზი, ბეტონის ხსნარის დამამზადებელი ხაზი და სამშენებლო ბლოკის საამქრო. მათ მიერ გამოშვებული პროდუქციისა და ნედლეულის სახეობა და რაოდენობა მოცემულია 3.1 ცხრილში.

სამსხვრევ-დამხარისხებელი ბეტონის ხსნარისა და სამშენებლო ბლოკის ხაზების სამუშაო დღეთა რაოდენობა შეადგენს 250-ს წელიწადში. ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლიობა დღეღამეში შეადგენს 8 სთ.

**ცხრილი 3.1. გამოშვებული პროდუქციისა და ნედლეულის სახეობა და რაოდენობა**

პროდუქცია		ნედლეული	
დასახელება	რაოდენობა	სახეობა	რაოდენობა
დამსხვრეული და გარეცხილი ქვიშა და ფრაქციული ღორღი	57 000მ <sup>3</sup> /წელ	ქვიშა-ხრეში	60 000 მ <sup>3</sup> /წელ
დამსხვრეული (0-40მმ ფრაქცია) ქვიშაღორღი	300 მ <sup>3</sup> /წელ	ქვიშა-ხრეში	310 მ <sup>3</sup> /წელ
ბეტონის ხსნარი	30 000მ <sup>3</sup> /წელ	ცემენტი	10 500 ტ/წელ
		ქვიშა	15 000 მ <sup>3</sup> /წელ
		ღორღი	27 000 მ <sup>3</sup> /წელ
სამშენებლო ბლოკი	50 000ცალი/წელ	ცემენტი	85 ტ/წელ
		ქვიშაღორღი	725 მ <sup>3</sup> /წელ

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა შეადგენს 10 კაცს, რომლებიც იმუშავენ ერთცვლიანი რეჟიმით, 5 დღიანი სამუშაო კვირით და 8 საათიანი სამუშაო დღით.

**4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი.**

ტერიტორიაზე განთავსებულია ქვიშახრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზი (სურათი 4.1), ბეტონის ხსნარის დამამზადებელი ხაზი (სურათი 4.2) და სამშენებლო ბლოკის საამქრო (სურათი 4.3) (ნახაზი 4.1).



სურათი 4.1. ქვიშახრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზი.



სურათი 4.2. ბეტონის ხსნარის დამამზადებელი ხაზი.




სურათი 4.3. სამშენებლო ბლოკის საამქრო

#### **ქვიშახრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზი.**

შპს „ალპედეს“-ს მიერ ხდება წელიწადში 60 000 მ<sup>3</sup> ქვიშა-ხრემის მსხვრევა-დახარისხება. გამოყენებული ნედლეულის ფრაქციული შემადგენლობის გათვალისწინებით, მიღებული პროდუქციის რაოდენობა 90-95% იქნება.

საჭირო ქვიშა-ხრემი შემოიზიდება ლიცენზირებული კარიერებიდან და განთავსდება ბაქანზე (16), საიდანაც დამტვირთველის მეშვეობით იყრება მიმწოდ ბუნკერში (18). ბუნკერიდან ლენტური ტრანსპორტიორის (19) მეშვეობით იყრება ვიბროცხავზე (20), რომელზეც მიეწოდება წყალი. წყლიანი ქვიშა და შლამი (დაახლოებით 35%) ღარის მეშვეობით გადადის კლასიფიკატორში (21), სადაც ირეცხება. გარეცხილი ქვიშა (დაახლოებით 30%) ლენტური ტრანსპორტიორით (22) მიეწოდება ქვიშის ბაქანზე. შლამი გადადის სალექარში (23). გარეცხილი მასა ვიროცხავიდან მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს (24). დამსხვრეული მასა მეორადი მსხვრევისთვის ტრანსპორტიორით მიეწოდება კონუსურ სამსხვრეველას (25), იქედან კი მიეწოდება ვიბროცხავს (26), სადაც ესხმება წყალი და საჭიროების მიხედვით ხდება ფრაქციებად დაყოფა (0-5 და 5-18) და განთავსება ბაქნებზე. 18 მმ-ზე მსხვილი ფრაქცია ტრანსპორტიორების მეშვეობით დასამსხვრევად ბრუნდება კონუსურ სამსხვრეველაზე. საჭიროების მიხედვით პროდუქცია საწყობდება ბაქანზე (30).



ნახაზი 4.1. ტექნოლოგიური დანადგარების განთავსება.

**ექსპლიკაცია:** 1. კაპიტალური შენობა; 2. საწყობი; 3. დიზელით გასამართი ავზი და სვეტი; 4. ცემენტის სილოსი; 5. ცემენტის სილოსი; 6. ბეტონმზელი; 7. ინერტული მასალის მიმწოდი ლენტური ტრანსპორტიორი; 8. ინერტული მასალის ბუნკერები; 9. პანდუსი; 10. ცემენტის სილოსი სამშენებლო ბლოკისათვის; 11. ინერტული მასალის ბუნკერები სამშენებლო ბლოკისათვის; 12. ბეტონმზელი სამშენებლო ბლოკისათვის; 13. ლენტური ტრანსპორტიორი; 14. ბლოკის დამამზადებელი წნეხი; 15. ტექნიკური წყლის ადების ადგილი; 16. ქვიშაბრემის განთავსების ადგილი; 17. პანდუსი; 18. ბუნკერი; 19. მიმწოდი ტრანსპორტიორი; 20. ვიბროცხავი; 21. კლასიფიკატორი; 22. ლენტური ტრანსპორტიორი; 23. სალექარი; 24. ყებებიანი მსხვრევანა; 25. კონუსური მსხვრევანა; 26. ვიბროცხავი; 27-29. ლენტური ტრანსპორტიორები; 30. ქვიშა-ღორღის განთავსების ადგილი; 31. პანდუსი; 32. ბუნკერი; 33. ლენტური ტრანსპორტიორი; 34. ყებებიანი მსხვრევანა; 35. ლენტური ტრანსპორტიორი.



საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია 0-40 ფრაქციის მიღება. პანდუსის მეშვეობით (31) ქვიშახრეში იყრება მადოზირებელ ბუნკერში (32),საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორით (33) მიეწოდება ყბებიან სამსხვრეველას. მსხვრევა ხორციელდება მშრალად. დამსხვრეული მასა ტრანსპორტიორის მეშვეობით (35) განთავსდება ბაქანზე. წლიურად ხდება 300მ<sup>3</sup> პროდუქციის დამზადება (სურათი 4.4).



სურათი 4.4. 0-40 ფრაქციის ხაზი

#### **ბეტონის ხსნარის წარმოება**

ყოველწლიურად ხდება 30 000მ<sup>3</sup> ბეტონის ხსნარის წარმოება,რისთვისაც მოიხმარება 10 500ტ ცემენტი, 15 000მ<sup>3</sup> ქვიშა და 27 000მ<sup>3</sup> ღორღი.

ცემენტი შემოიზიდება ავტოცისტერნებით და განთავსდება ორ სილოსში (4 და 5), რომელთა ტევადობაა 40 ტონა. ინერტული მასალა დამტვირთელის მეშვეობით მიეწოდება ბუნკერებში (8), საიდანაც დახურული ლენტური ტრანსპორტიორით (7) დოზირებულად მიეწოდება ბეტონმზელს (6).

#### **სამშენებლო ბლოკის წარმოება.**

ყოველწლიურად ხდება 50 000 ცალი ბლოკის დამზადება (გადაანგარიშებული სტანდარტულ 20×20×40 სმ ბლოკზე), რისთვისაც მოიხმარება 85ტ ცემენტი და 725 მ<sup>3</sup> ქვიშაღორღი. ცემენტი შემოიზიდება ავტოცისტერნით და იტვირთება 60 ტ ტევადობის სილოსში (10). საიდანაც მიეწოდება ბეტონმზელს (12). ინერტული მასალა დამტვირთველით მიეწოდება ბუნკერებში (11), საიდანაც ტრანსპორტიორის მეშვეობით მიეწოდება ბეტონმზელს (12). მოზელილი მასა ტრანსპორტიორის მეშვეობით (13) მიეწოდება ბლოკის საფორმირებელ დაზგას.

ტერიტორიაზე მოწყობილია 60 მ<sup>3</sup> ტევადობის დიზელის ავზი და საჩამომსხმელო სვეტი (3) ადგილზე მომუშავე სპეცტექნიკის საწვავით გამართვისთვის. წლიურად მოიხმარება 300 000ლ დიზელი (სურათი 4.5).



სურათი 4.5. დიზელით გასამართი სვეტი.

## 5. ობიექტის წყალმომარაგება წყალარინება

საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის.

სასმელი წყლის შექმნა მოხდება უახლოესი მარკეტებიდან. სამეურნეო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია ტერიტორიაზე, შემდეგ კოორდინატზე X-332516 Y-4665030 განთავსებული მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭიდან, რომელზედაც ი.მ. ამირან დეკანოიძეზე გაცემულია წიაღისეულის ლიცენზია №1002152.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 10 ადამიანი, დღეში 8 საათიანი რეჟიმით, სამეურნეო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა იქნება  $45 \times 10 = 450$  ლ. წელიწადში  $450 \times 250 = 112,5$  მ<sup>3</sup>/წელ.

საწარმო მიზნით წყალი გამოიყენება: ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით მსხვრევა-დახარისხების პროცესში, ბეტონის წარმოებაში ბეტონის ხსნარის მოსამზადებლად, სამშენებლო ბლოკის წარმოებაში ბეტონნარევის მოსამზადებლად და მშრალ და ქარიან ამინდში ტერიტორიის დასანამად.

ტექნიკური წყლის აღება ხდება ტერიტორიაზე მოწყობილი ტბორიდან (გუბურა), შემდეგ კოორდინატზე X-332606, Y-4664956 მოწყობილი სატუმბი სადგურით (სურათი 5.1.). გუბურა ივსება მდ. ყვირილას წყლით. მასში ასევე საწარმოს ტერიტორიიდან ჩაედინება ატმოსფერული ნალექების წყალი.



სურათი 5.1. წყალმიმღები გუბურა

თითოეული ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო წყლის ხარჯი პროდუქციის ერთეულზე და წლიური რაოდენობა მოცემულია ცხრილში 5.1.

ცხრილი 5.1. გამოშვებული პროდუქციისა და ნედლეულის სახეობა და რაოდენობა

პროდუქციის დასახელება	წლიური რაოდენობა წელიწადში	წყლის ხარჯი პროდუქციის ერთეულზე	საჭირო წყლის წლიური რაოდენობა
ქვიშა-ხრეში	60 000 მ <sup>3</sup> /წელ	1 მ <sup>3</sup> -ზე - 3 მ <sup>3</sup> წყალი	180 000 მ <sup>3</sup> /წელ
ბეტონის ხსნარი	30 000 მ <sup>3</sup> /წელ	1 მ <sup>3</sup> -ზე - 0,2 მ <sup>3</sup> წყალი	6 000 მ <sup>3</sup> /წელ
სამშენებლო ბლოკი	50 000 ცალი/წელ	100 ცალზე - 0,2 მ <sup>3</sup> წყალი	100 მ <sup>3</sup> /წელ
ტერიტორიის დანამვა	1,2 ჰა (საშუალოდ 100 ჯერ წელ)	ერთ ჯერზე 5 მ <sup>3</sup> წყალი	500 მ <sup>3</sup> /წელ
<b>სულ</b>			<b>186 600 მ<sup>3</sup></b>

როგორც ცხრილიდან ჩანს, საწარმოს მაქსიმალური სიმძლავრით ფუნქციონირების დროს წელიწადში დასჭირდება 186 600 მ<sup>3</sup> წყალი.

საწარმოში წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლები.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისათვის მოწყობილია საასენიზაციო ორმო, რომლის მომსახურებას ხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

ტექნოლოგიური პროცესების დროს ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება მხოლოდ ქვიშა-ხრეშის მსხვრევა-დახარისხების დროს. ბეტონის წარმოებასა და ბლოკის საამქროში მოხმარებული წყალი გადადის პროდუქციის შემადგენლობაში. ხოლო ტერიტორიის დანამვა არ წარმოქმნის ჩამდინარე წყალს.

ქვიშა-ხრეშის მსხვრევა დახარისხების დროს საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს წელიწადში 180 000 მ<sup>3</sup>, საათში 90 მ<sup>3</sup>-ს. ტექნოლოგიური პროცესების დროს ტექნოლოგიური დანაკარგის გათვალისწინებით ჩამდინარე წყლის რაოდენობა იქნება 81 მ<sup>3</sup>/სთ, 162 000 მ<sup>3</sup>/წელ.

ტექნოლოგიური პროცესებიდან ჩამდინარე წყლები იკრიბება და მიეწოდება სალექარს, რომელიც მოწყობილია სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მიმდებარედ, ყველაზე დაბალ ნიშნულზე. აღნიშნულის გამო სალექარში ჩაედინება საწარმოო მოედანზე წარმოქმნილი ატმოსფერული ნალექების წყლებიც.

სალექარის საერთო მოცულობა შეადგენს 450 მ<sup>3</sup>-ს, მუშა მოცულობა 350 მ<sup>3</sup>-ია, ხოლო 100 მ<sup>3</sup>-წარმოადგენს სალამე ნაწილს. დალექვის საერთო დრო 4 საათზე მეტია, რაც უზრუნველყოფს ჩამდინარე წყალზე შეწონილი ნაწილაკების მოშორებას (შეწონილი ნაწილაკების რაოდენობა არ გადააჭარბებს 60 მგ/ლ). სალექარის გავლის შემდეგ ჩამდინარე წყალი ჩაედინება მდ. ყვირილაში შემდეგ კოორდინატზე X-332463, Y-4665003.

ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი ხაზის ტერიტორიის სანიაღვრე წყლები, რელიეფის დახრის შესაბამისად ჩაედინება სალექარში და წყალმიმღებ გუბურაში.

საწარმოს ტერიტორიის ჩრდილოეთით, შესასვლელთან, საკუთარი ტრანსპორტის გასამართად, მოწყობილია დიზელით ავტოგასამართი წერტილი, რომლის მიმდებარე ტერიტორია

მოხეტონებულია. გასამართი პუნქტის საწარმოო მოედნის ფართობი 30 მ<sup>2</sup>-ია. შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტის შესაკრებად გათვალისწინებულია ნავთობდამჭერი. აღნიშნული ტერიტორიიდან სანიაღვრე წყლები მიეწოდება ნავთობდამჭერში, სათანადო გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება მდ. ყვირილაში, შემდეგ კოორდინატზე: X-332454, Y-4665039.

სანიაღვრე წყლის წლიური მოცულობა იქნება:

$$Q = 10 \times 0,003 \times 1241 \times 0,264 = 9,828 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

ხოლო დღეღამური მაქსიმუმი შეადგენს:

$$Q = 10 \times 0,003 \times 132 \times 0,264 = 1,045 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

ტექნიკური წყალმომარაგება წყალარინების სქემა მოცემულია ნახაზზე 5.2.

ნახაზი 5.2.



## 6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა განსახილველი საწარმოს ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის (250 მ) და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

### 6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები, ბეტონის ხსნარისა და სამშენებლო ბლოკის წარმოება.

ქვიშა-ხრემის პირველადი მსხვრევა სველია. პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი SiO<sub>2</sub>-ის 20%-მდე შემცველობით.

მტვერის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარი. სამშენებლო მასალების წარმოებისას არაორგანიზებული წყაროებიდან გაფრქვევის გაანგარიშების მეთოდური მითითების შესაბამისად 3%-ზე მეტი ტენიანობის მქონე ქვიშისა და 20%-ზე მეტი ტენიანობის სხვა მასალების შემთხვევაში გაფრქვევები უნდა ჩაითვალოს 0-ს ტოლად. ამის გათვალისწინებით გაფრქვევის გაანგარიშება არ მოხდება ვიბროცხავის და კლასიფიკატორის მუშაობისას, ქვიშის ბაქანზე განთავსებისას და ტრანსპორტიორებით გადატანისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მტვერის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს (ნახაზი 6.1):

#### ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზი

- ნედლეულის განთავსება ბაქანზე (გ-1 წყარო);
- გაფრქვევა ნედლეულის ბაქნიდან (გ-2 წყარო);
- ნედლეულის მკვებავის ბუნკერში ჩაყრა (გ-3 წყარო);
- ყბებიანი მსხვრევანა (გ- 4 წყარო);
- კონუსური მსხვრევანა (გ-5 წყარო);
- გაფრქვევა ქვიშის (0-5 ფრაქცია) ბაქნიდან (გ-6 წყარო);
- გაფრქვევა ღორღის (5-10 ფრაქცია) ბაქნიდან (გ-7 წყარო);
- გაფრქვევა ღორღის (10-18 ფრაქცია) ბაქნიდან (გ-8 წყარო);
- გაფრქვევა პროდუქციის ბაქნიდან (გ-9 წყარო);
- გაფრქვევა მადოზირებელ ბუნკერში ჩატვირთვისას (გ-10 წყარო);

- გაფრქვევა ყბებიანი მსხვრევანადან (გ- 11 წყარო);
- გაფრქვევა ლენტური ტრანსპორტიორებიდან (გ-12წყარო);
- გაფრქვევა 0-40 ფრაქციის ჩამოტვირთვისას (გ-13 წყარო);
- გაფრქვევა 0-40 ფრაქციის პოლიგონიდან (გ-14 წყარო);

**ბეტონის ხსნარის დამზადების უზანი**

- გაფრქვევა ქვიშის ბუნკერში ჩატვირთვისას (გ-15 წყარო);
- გაფრქვევა ლორღის ბუნკერში ჩატვირთვისას (გ-16 წყარო);
- ცემენტის ჩატვირთვა სილოსში (გ-17 წყარო);
- ცემენტის ჩატვირთვა სილოსში (გ-18 წყარო);
- ქვიშალორღისა და ცემენტის ჩაყრა ბეტონმზელში (გ-19 წყარო);

**სამშენებლო ბლოკის დამზადების ხაზი**

- ცემენტის ჩატვირთვა სილოსში (გ-20 წყარო);
- ქვიშა-ლორღის ბუნკერი (გ-21 წყარო);
- ქვიშალორღისა და ცემენტის ჩატვირთვა ბეტონმზელში (გ-22 წყარო);
- ემისიები დიზელით გასამართი პუნქტიდან (გ-23 წყარო)

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიში განხორციელდა საანგარიშო მეთოდიკების გამოყენებით. ანგარიში შესრულებულია მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის. ვითვალისწინებთ ტექნიკური რეგლამენტის დანართი 117 პირობას, რომ თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მოწყობილობების მუშაობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტი-0,4.



ნახაზი 6.1. გაფრქვევის წყაროები



- გაფრქვევები ქვიშახრემის სამსხვერველამხარისხებელი ხაზიდან
- გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის ბაქანზე განთავსებისას (გ-1 წყარო)

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ.}} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4/3600 \text{ გ/წმ, (6.1)}$$

სადაც

- $K_1$  - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;
- $K_2$  - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;
- $K_3$  - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;
- $K_4$  - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვიოთუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი;
- $K_5$  - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;
- $K_7$  - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;
- $K_9$  - შემასწორებელი კოეფიციენტი; ავტოთვითმცლელიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2 , 10ტ\_ზე მეტის შემთხვევაში აიღება 0,1 . სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1-ს ტოლი.
- B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;
- G - წარმადობა, ტ/სთ;

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდიკებში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,05 ; K_2 - 0,03 ; K_3 - 1,2 ; K_4 - 1,0 ; K_5 - 0,01 ; K_7 - 0,4 ; K_9 - 0,1 ; B - 0,5 ; G - 30 \text{ ტ/სთ.}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვ.}} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 0,1 \times 0,5 \times 30 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0012 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ.}} = 0,0012 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,0086 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის პოლიგონიდან (გ-2 წყარო)

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 6.2 ფორმულის მიხედვით

$$M_{\text{მტვ.}} = K_3 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ გ/წმ; (6.2)}$$

სადაც

- $K_3 = 1,2$  - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი;
- $K_5 = 0,1$  - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი;
- $K_6 = 1,3$  - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი, მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე;
- $K_7 = 0,6$  გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;
- q = 0,002 - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1 კვ.მ. ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ<sup>2</sup>წმ;
- f = 500 მ<sup>2</sup> - ამტვერების ზედაპირის ფართობია.

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$$M_{\text{მტვ.}} = 1,2 \times 0,1 \times 1,3 \times 0,6 \times 0,002 \times 500 \times 0,4 = 0,0374 \text{ გრ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ.}} = 0,0374 \times 8640 \times 3600 / 10^6 = 1,1633 \text{ ტ/წელ}$$

- **ნედლეულის მკვებავის ბუნკერში მიწოდებისას (გ-3 წყარო)**

გაფრქვევის გაანგარიშება ხდება 6.1 ფორმულით საანგარიშო კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K_1 - 0,05 ; K_2 - 0,03 ; K_3 - 1,2 ; K_4 - 0,1 ; K_5 - 0,01 ; K_7 - 0,4 ; K_9 - 0,2 ; B - 0,5 ; G - 30 \text{ ტ/სთ.}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ}} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,1 \times 0,01 \times 0,4 \times 0,2 \times 0,5 \times 30 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0002 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0002 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,0014 \text{ ტ/წელ}$$

- **გაფრქვევის ანგარიში ყბებიანი სამსხვრეველადან (გ-4 წყარო).**

მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი მიხედვით 1 ტონა სველი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,009 კგ/ტ; იმის გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 2 000 საათს და სამსხვრევეზე მიეწოდება დასამუშავებელი მასის დაახლოებით 70%, ანუ 42 000 ტ მასა, მივიღებთ:

$$G = 42\ 000 \times 0,009 \times 0,4 / 10^3 = 0,1512 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,1512 \times 10^6 / 2000 \times 3600 = 0,021 \text{ გ/წმ}$$

- **გაფრქვევის ანგარიში კონუსური სამსხვრეველადან (გ-5 წყარო).**

კონუსურ სამსხვრეველაზე ხორციელდება მშრალი მსხვრევა, რომლის დროსაც 1 ტ მშრალი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,14 გ/ტ. იმის გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 2000-ს და სამსხვრევეში გატარდება 42 000 ტ მასა, მივიღებთ:

$$G = 42\ 000 \times 0,14 \times 0,4 / 10^3 = 2,352 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 2,352 \times 10^6 / 2000 \times 3600 = 0,3267 \text{ გ/წმ}$$

- **გაფრქვევა ქვიშის ბაქნიდან (გ-6 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 6.2 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K_3 = 1,2; K_5 = 0,1; K_6 = 1,3; K_7 = 0,6; q = 0,002; f = 80 \text{ მ}^2$$

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,3 \times 0,6 \times 0,002 \times 80 \times 0,4 = 0,006 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ.}} = 0,006 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,0432 \text{ ტ/წელ.}$$

- **გაფრქვევა ღორღის ბაქნიდან (გ-7 და გ-8 წყაროებისათვის)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 6.2 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K_3 = 1,2; K_5 = 0,1; K_6 = 1,3; K_7 = 0,6; q = 0,002; f = 100 \text{ მ}^2$$

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,3 \times 0,6 \times 0,002 \times 100 \times 0,4 = 0,0075 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ.}} = 0,0075 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,054 \text{ ტ/წელ.}$$

**ანალოგიური იქნება გ-8 წყაროსთვისაც:**

$$M_{\text{მტვრ}} = 0,0075 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ.}} = 0,054 \text{ ტ/წელ.}$$

- **გაფრქვევა პროდუქციის ბაქნიდან ( გ-9 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 6.2 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K_3 = 1,2; K_5 = 0,1; K_6 = 1,3; K_7 = 0,6; q = 0,002; f = 300 \text{ მ}^2$$

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,3 \times 0,6 \times 0,002 \times 300 \times 0,4 = 0,0225 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0225 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,162 \text{ ტ/წელ.}$$

- **ნედლეულის მკვებავის ბუნკერში მიწოდებისას (გ-10 წყარო)**

გაფრქვევის გაანგარიშება ხდება 6.1 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 0,1; K_5 - 0,7; K_7 - 0,5; K_9 - 0,2; B - 0,5; G - 0,62 \text{ ტ/სთ.}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ}} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,1 \times 0,7 \times 0,5 \times 0,2 \times 0,5 \times 0,62 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0004 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0004 \times 500 \times 3600 / 10^6 = 0,0007 \text{ ტ/წელ}$$

- **გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-11 წყარო)**

ყბებიან სამსხვრეველაზე ხორციელდება მშრალი მსხვრევა, რომლის დროსაც 1ტ მშრალი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,14 გ/ტ . იმის გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 500-ს და სამსხვრევეში გატარდება 310 ტ მასა, მივიღებთ:

$$G = 310 \times 0,14 \times 0,4 / 10^3 = 0,0174 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,0174 \times 10^6 / 2000 \times 3600 = 0,0024 \text{ გ/წმ};$$

- **გაფრქვევის ანგარიში ლენტური ტრანსპორტიორებით გადაადგილებისას (გ- 12 წყარო).**

გაანგარიშება განხორციელდა ორი ლენტური ტრანსპორტიორის ერთდროული მუშაობისას. მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = W \times K \times B \times L \times 10^3 \times 0,4 \text{ გ/წმ}; \quad (6.3)$$

სადაც,

W – ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევაა და ტოლია  $3 \times 10^{-5}$  კგ/მ<sup>2</sup>წმ;

K - ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1 მ-ის;

B - ლენტის სიგანეა და ტოლია 0,8მ-ის;

L - ლენტის ჯამური სიგრძეა და ტოლია 20 მ;

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ}} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 1,0 \times 20 \times 10^3 \times 0,4 = 0,024 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,024 \times 500 \times 3600 / 10^6 = 0,0432 \text{ ტ/წელ};$$

- **გაფრქვევა 0-40 ფრაქციის ჩამოტვირთვისას (გ-13 წყარო);**

გაფრქვევის გაანგარიშება ხდება 6.1 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 1,0; K_5 - 0,7; K_7 - 0,5; K_9 - 1; B - 0,6; G - 0,62 \text{ ტ/სთ.}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ}} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,7 \times 0,5 \times 1,0 \times 0,6 \times 0,62 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,026 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,026 \times 500 \times 3600 / 10^6 = 0,0468 \text{ ტ/წელ}$$

- **გაფრქვევა 0-40 ფრაქციის ბაქნიდან (გ-14 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 6.2 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K_3 = 1,2; K_5 = 0,1; K_6 = 1,3; K_7 = 0,6; q = 0,002; f = 100 \text{ მ}^2$$

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,3 \times 0,6 \times 0,002 \times 100 \times 0,4 = 0,0075 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ.}} = 0,0075 \times 500 \times 3600 / 10^6 = 0,0135 \text{ ტ/წელ.}$$

- **გაფრქვევები ბეტონის ხსნარის დამზადების უბნიდან**

- **გაფრქვევა ქვიშის ბუნკერში ჩატვირთვისას (გ-15 წყარო);**

გაფრქვევის გაანგარიშება ხდება 6.1 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 0,1; K_5 - 0,7; K_7 - 0,5; K_9 - 0,2; B - 0,5; G - 11,25 \text{ ტ/სთ.}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ}} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,1 \times 0,7 \times 0,5 \times 0,2 \times 0,5 \times 11,25 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0079 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0079 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,0569 \text{ ტ/წელ}$$

- **გაფრქვევა ღორღის ბუნკერში ჩატვირთვისას (გ-16 წყარო);**

გაფრქვევის გაანგარიშება ხდება 6.1 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 0,1; K_5 - 0,7; K_7 - 0,5; K_9 - 0,2; B - 0,5; G - 20,25 \text{ ტ/სთ.}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ}} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,1 \times 0,7 \times 0,5 \times 0,2 \times 0,5 \times 20,25 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0142 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0142 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,1022 \text{ ტ/წელ}$$

- **ცემენტის სილოსში ჩატვირთვა (გ-17 და გ-18 წყაროები)**

ცემენტის ჩატვირთვა ხდება ცემენტში მანქანებზე დამონტაჟებული სპეციალური ტუმბო დანადგარით, სილოსებზე დამონტაჟებულია ქსოვილიანი ფილტრი 95%-იანი მტვერდაჭერით. 30 000მ<sup>3</sup> ბეტონის საწარმოებლად საჭირო იქნება 10 500 ტონა ცემენტი. [4]-ის მიხედვით ბეტონის წარმოებაში ყოველი 1 ტონა ცემენტის გადატვირთვისას სილოსებში გაწმენდის გარეშე გამოიყოფა 0,8კგ ცემენტის მტვერი. ამიტომ ცემენტის მტვრის წლიური გაფრქვევა გაწმენდის გარეშე **გ-17 წყაროდან** ტოლი იქნება:

$$G = 5 \ 250 \times 0,8 / 10^3 = 4,2 \text{ ტ/წელ}$$

ხოლო 95%-იანი გაწმენდის შემდეგ:

$$G = 4,2 \times 0,05 = 0,21 \text{ ტ/წელ}$$

პრაქტიკული დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ 1ტ ცემენტის ჩატვირთვისას ჭირდება საშუალოდ 1წთ. აქედან გამომდინარე ცემენტის ჩატვირთვის ოპერაციაზე წელიწადში დაჭირდება 5 250 წთ, ანუ მიახლოებით 88 საათი. ამდენად:

$$M = 0,21 \times 10^6 / 88 \times 3 \ 600 = 0,6629 \text{ გ/წმ}$$

ანალოგიური იქნება **გ-18 წყაროდან**.

- **ქვიშა-ლორღისა და ცემენტის ჩატვირთვა ბეტონში (გ-19 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 6.1 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

**ქვიშა-ლორღისათვის:**

$K_1 - 0,05$  ;  $K_2 - 0,03$  ;  $K_3 - 1,0$  ;  $K_4 - 0,1$  ;  $K_5 - 0,7$  ;  $K_7 - 1,0$  ;  $K_9 - 1,0$  ;  $B - 0,4$  ;  $G - 31,5$  ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,0 \times 0,1 \times 0,7 \times 1,0 \times 1,0 \times 0,4 \times 31,5 \times 10^6 / 3\ 600 = 0,3675 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,3675 \times 2\ 000 \times 3\ 600 / 10^6 = 2,646 \text{ ტ/წელ}$$

**ცემენტისათვის:**

$K_1 - 0,04$  ;  $K_2 - 0,03$  ;  $K_3 - 1,0$  ;  $K_4 - 0,1$  ;  $K_5 - 1,0$  ;  $K_7 - 1,0$  ;  $K_9 - 1,0$  ;  $B - 0,4$  ;  $G - 5,25$  ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0,04 \times 0,03 \times 1,0 \times 0,1 \times 1,0 \times 1,0 \times 1,0 \times 0,4 \times 5,25 \times 10^6 / 3\ 600 = 0,07 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,07 \times 2\ 000 \times 3\ 600 / 10^6 = 0,504 \text{ ტ/წელ}$$

- **გაფრქვევები სამშენებლო ბლოკის დამზადების უბნიდან**

- **ცემენტის სილოსში ჩატვირთვა (გ-20 წყარო)**

ცემენტის ჩატვირთვა ხდება ცემენტში მანქანებზე დამონტაჟებული სპეციალური ტუმბო დანადგარით, სილოსზე დამონტაჟებულია ქსოვილიანი ფილტრი 95%-იანი მტვერდაჭერით.

50 000ცალი სამშენებლო ბლოკის საწარმოებლად საჭირო იქნება 85 ტონა ცემენტი. [4]-ის მიხედვით ბეტონის წარმოებაში ყოველი 1 ტონა ცემენტის გადატვირთვისას სილოსებში გაწმენდის გარეშე გამოიყოფა 0,8კგ ცემენტის მტვერი. ამიტომ ცემენტის მტვრის წლიური გაფრქვევა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება:

$$G = 85 \times 0,8 / 10^3 = 0,068 \text{ ტ/წელ}$$

ხოლო 95%-იანი გაწმენდის შემდეგ:

$$G = 0,068 \times 0,05 = 0,0034 \text{ ტ/წელ}$$

პრაქტიკული დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ 1ტ ცემენტის ჩატვირთვას ჭირდება საშუალოდ 1წთ. აქედან გამომდინარე ცემენტის ჩატვირთვის ოპერაციაზე წელიწადში დაჭირდება 80 წთ, ანუ მიახლოებით 2 საათი. ამდენად:

$$M = 0,0034 \times 10^6 / 2 \times 3\ 600 = 0,4722 \text{ გ/წმ}$$

- **ქვიშა-ლორღის ბუნკერი (გ-21 წყარო)**

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 6.1 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$K_1 - 0,05$  ;  $K_2 - 0,02$  ;  $K_3 - 1,0$  ;  $K_4 - 0,5$  ;  $K_5 - 0,7$  ;  $K_7 - 0,7$  ;  $K_9 - 0,2$  ;  $B - 0,4$  ;  $G - 0,54$  ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,02 \times 1,0 \times 0,5 \times 0,7 \times 0,7 \times 0,2 \times 0,4 \times 0,54 \times 10^6 / 3\ 600 = 0,0029 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0029 \times 2\ 000 \times 3\ 600 / 10^6 = 0,0209 \text{ ტ/წელ}$$

- **ქვიშა-ლორღისა და ცემენტის ჩატვირთვა ბეტონმზელში (გ-22 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 6.1 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

**ქვიშა-ლორღისათვის:**

$K_1 - 0,05$  ;  $K_2 - 0,03$  ;  $K_3 - 1,0$  ;  $K_4 - 0,1$  ;  $K_5 - 0,7$  ;  $K_7 - 1,0$  ;  $K_9 - 1,0$  ;  $B - 0,4$  ;  $G - 0,54$  ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,0 \times 0,1 \times 0,7 \times 1,0 \times 1,0 \times 0,4 \times 0,54 \times 10^6 / 3\ 600 = 0,0063 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0063 \times 2\ 000 \times 3\ 600 / 10^6 = 0,0454 \text{ ტ/წელ}$$

**ცემენტისათვის:**

$K_1 - 0,04$  ;  $K_2 - 0,03$  ;  $K_3 - 1,0$  ;  $K_4 - 0,1$  ;  $K_5 - 1,0$  ;  $K_7 - 1,0$  ;  $K_9 - 1,0$  ;  $B - 0,4$  ;  $G - 0,04$  ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0,04 \times 0,03 \times 1,0 \times 0,1 \times 1,0 \times 1,0 \times 1,0 \times 0,4 \times 0,04 \times 10^6 / 3\ 600 = 0,0005 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0005 \times 2\ 000 \times 3\ 600 / 10^6 = 0,0036 \text{ ტ/წელ}$$

- **გაფრქვევები დიზელით გასამართი პუნქტიდან (გ-23 წყარო)**

ავტოგასამართი სვეტის ფუნქციონირებისას საწვავის მიღება-შენახვა-გაცემის დროს მავნე ნივთიერებათა რაოდენობა 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე შეადგენს 0,0025გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად);

წელიწადში 300 000ლ დიზელის მიღება-შენახვა- გაცემისას

$$G = 300\ 000 \times 0,0025 / 10^6 = 0,0008 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,0008 \times 10^6 / 250 \times 8 \times 3\ 600 = 0,0001 \text{ გ/წმ}$$

ამდენად, არაორგანული მტვრის გაფრქვევის წამური ინტენსიობა შეადგენს 0,8891 გ/წმ, წლის განმავლობაში 6,9827 ტ-ს. ცემენტის მტვის გაფრქვევის ინტენსიობა იქნება 1,8685 გ/წმ და 0.931 ტ/წელ. ხოლო ნახშირწყალბადების წამური ინტენსიობა იქნება 0,0001 გ/წმ და წლიური რაოდენობა - 0,0008ტ/წ.

ანგარიშიდან ჩანს, რომ დღის განმავლობაში მოსალოდნელია საშუალოდ 31,65 კგ. მტვრის წარმოქმნა, რომელმაც არ შეიძლება გადააჭარბოს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას 250 მ-ით დაშორებულ საცხოვრებელ სახლთან. ამასთან საწარმო განთავსებულია ჰიფსომეტრულად 28 მ-ით დაბალ ნიშნულზე (ნახაზი 2.5), რაც ასევე მინიმუმამდე ამცირებს მტვრის ნაწილაკების გადაადგილებას დასახლებულ პუნქტამდე. ასევე, დასახლებულ პუნქტსა და საწარმოს შორის განთავსებულია მდ. ყვირილას ხეობა და ფოთლოვანი ხეებით დაფარული ტყის კონტური.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება იქნება დაბალი.

## 6.2. ხმაურის ზემოქმედება

საწარმოს მუშაობისას მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები.

საწარმოს მუშაობის პროცესში MASTE/MS6700-ი ტიპის ხმაურზომით გაზომილი იქნა ხმაურის დონე ბეტონის სახელ ხაზთან (ხმ-1), ბლოკის საჭრელ დაზგასთან (ხმ-2), ყბებიან სამსხვრეველასთან (ხმ-3) (ნახაზი 6.2). შედეგები მოცემულია 6.1 ცხრილში. მაქსიმალური ხმაურის დონე დაფიქსირდა „ხმ-3“ წერტილში, უახლოესი სახლიდან 300 მ-ს დაშორებით, რომლის მიმართაც მოხდა გაანგარიშება.

ცხრილი 6.1.

გაზომვის წერტ.	GPS კოორდინატები		მანძილი უახლოეს სახლამდე,მ	ხმაურის დონე,დბა
	X	Y		
ხმ-1	332515	4665093	305	80,7
ხმ-2	332520	4665058	290	84,5
ხმ-3	332564	4665000	300	87,0

საქართველოს მთავრობის №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ს მიხედვით საცხოვრებელ და საძილე სათავსოებში აკუსტიკური ნორმები შეადგენს დღის პერიოდისათვის 35 დბა-ს და ღამის პერიოდისათვის -- 30დბა-ს.

ნახაზი 6.2.



საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები გამოითვლება ფორმულით:

$$L = L_p - 15lgr + 10lg \Phi - \beta r / 1000 - 10lg \Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

$L_p$  – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე, რომელიც ცხრილი 5-ს მიხედვით იგი ტოლია 87 დბა.

$\Phi$  – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

$r$  – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

$\Omega$  – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება:  $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას;  $\Omega = 2\pi$  - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას;  $\Omega = \pi$  - ორ წიბოიან კუთხეში;  $\Omega = \pi / 2$  - სამ წიბოიან კუთხეში;

$\beta$  – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება:

$$L = 87 - 15 \lg 300 + 10 \lg 1 - 10,5 \times 300 / 1000 - 10 \lg 12,56 = 95 - 37,2 - 3,15 - 10,99 = 36,26 \text{ დბა}$$

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საწარმოს ხმაური დასახლებულ პუნქტამდე ვერ მიაღწევს. ამასთან დასახლებული პუნქტი მდებარეობს საწარმოს განთავსების დონიდან 28 მ სიმაღლეზე და დასახლებული პუნქტის მიმართულებით განთავსებულია ტყის კორომი, რაც ხელს უწყობს ხმაურის დონის შემცირებას 5-7 დეციბელით. ამასთანავე საწარმო იმუშავებს მხოლოდ დღისით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლებში განსახილველი საწარმოს გავლენა მოსალოდნელი არ არის, მით უმეტეს ვერ გადააჭარბებს მთავრობის №398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35დბა). საწარმოში დასაქმებულებზე ხმაურის გავლენის შესამცირებლად საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სმენის დამცავი ინდივიდუალური საშუალებები, შრომის უსაფრთხოების წესების შესაბამისად

### 6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე

საწარმო განთავსებულია წლების წინ სამეწარმოდ ათვისებულ ტერიტორიაზე. მასზე განთავსებული იყო ბეტონის, ბეტონის ნაკეთობათა და სამშენებლო ბლოკის წარმოება. ამდენად ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოსაწყობად არ მომხდარა ახალი ტერიტორიის ათვისება და არსებული გარემოს იერსახის მნიშვნელოვანი ცვლილება.

საწარმოს ტერიტორია განთავსებულია სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მიმდებარედ. გზის მხარეს განთავსებულია შენობები. დასახლებულ-პუნქტსა და საწარმოს შორის განთავსებულია ხე-მცენარეებით დაფარული ტყის კონტური და მდ. ყვირილას ხეობა.



ამდენად მგრძობიარე რეკეპტორების მიმართ საწარმოს ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესები ნაკლებად შესამჩნევია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ლანდშაფტზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

რაც შეეხება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას, ქვიშა-ხრემის მსხვრევა-დახარისხების ხაზის მოსაწყობად არ მომხდარა მცენარეების მოჭრა. საწარმოს ესპლუატაციის პროცესი არ გამოიწვევს მიმდებარედ არსებული მცენარეების დაზიანებას.

რაც შეეხება ფაუნაზე ზემოქმედებას, საწარმოს ტერიტორიაზე მათი გავრცელება ნაკლებსავარაუდოა, რადგან მასზე წლებია ფუნქციონირებს სამეწარმეო დანიშნულების ობიექტი. მიმდებარედ გავრცელებულია ცხოველთა და ფრინველთა ისეთი სახეობები, რომლებიც შეგუებული არიან ანთროპოგენურ გარემოსთან ახლოს ბინადრობას და მასზე დამატებითი უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს ტერიტორია მდინარე ყვირილას კალაპოტიდან დაშორებულია 50 მ-ზე მეტი მანძილით, საწარმოდან ჩამდინარე წყლები მდინარეში ჩაშვებული იქნება მხოლოდ სათანადოდ გაწმენდის შემდეგ, ამდენად არ მოახდენს უარყოფით გავლენას იქთიოფაუნაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიომრავალფეროვნებაზე დამატებითი უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

#### **6.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე**

საწარმოს წყალი ესაჭიროება სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. საწარმოო მიზნით წყალაღება ხდება ყვირილადან,

როგორც მე-5 თავშია აღწერილი, სამეურნეო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 450 ლ/დღ. წყალაღება განხორციელდება მიწისქვეშა ჰორიზონტიდან, სათანადო ლიცენზიის საფუძველზე. ამ რაოდენობით წყლის აღება ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მიწისქვეშა ჰორიზონტზე.

საწარმოო მიზნით წყლის აღება იგეგმება ხელოვნურად მოწყობილი გუბურიდან, რომელიც ივსება მდ. ყვირილადან, შემდეგ კოორდინატზე X-332606, Y-4664956.

საწარმოს საშუალოდ სათში დასჭირდება 93,3 მ<sup>3</sup>, დღეში 746,4 მ<sup>3</sup>, ხოლო წელიწარში 186 600 მ<sup>3</sup> წყალი. ობიექტის წყალსარგებლობა დაგეგმილია ქვეყნის ერთ-ერთი წყალუხვი მდინარიდან, რომლის საშუალომრავალწლიური ხარჯი ზესტაფონის ტერიტორიაზე შეადგენს 61,7 მ<sup>3</sup>/წმ-ს. ამდენად წყალაღებით წყლის რესურსებზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო, ამასთან, საწარმო ტექნიკურ წყალს, სათანადო გაწმენდის შემდეგ, ისევ აბრუნებს მდინარეში.

ტექნოლოგიაში გამოყენებული წყალი იკრიბება სპეციალური ღარებით, მიეწოდება ჰორიზონტალურ სალექარს. ჩამდინარე წყლები დაბინძურებული იქნება შეწონილი

ნაწილაკებით (ქვიშის მცირე ზომის ნაწილაკები), ამიტომ წყლის გაწმენდა ხდება მექანიკური დალექვის მეთოდით.

გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ყვირილაში შემდეგ კოორდინატზე X-332463, Y-4665003. სალექარის გავლის შემდეგ სანიაღვრე ჩამდინარე წყლებში შეწონილი ნაწილაკების რაოდენობა არ გადააჭარბებს 60 მგ/ლ-ს. რაც გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ნაწარმოები მონიტორინგის შედეგების თანახმად, მნიშვნელოვნად ნაკლებია მდინარე ყვირილაში შეწონილი ნაწილაკების ფონურ მაჩვენებელზე.

საწარმოს ტერიტორიიდან მდინარეში ჩაედინება ავტოგასამართი წერტილის ტერიტორიის სანიაღვრე ჩამდინარე წყლები, შემდეგ კოორდინატზე: X-332454, Y-4665039. აღნიშნული სანიაღვრე წყლებისათვის გათვალისწინებულია ნავთობდამჭერის მოწყობა, რომლის გავლისა და სათანადო გაწმენდის შემდეგ მოხდება წყალჩაშვება. სანიაღვრე წყალშეკრების ფართობისა და სამშენებლო კლიმატოლოგიის შესაბამისად, სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება ძალიან მცირე: 9,828 მ<sup>3</sup>/წელ, 1,045 მ<sup>3</sup>/დღ (0,0435 მ<sup>3</sup>/სთ), მისი ჩაშვება ზემოაღნიშნული პირობებით ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მდინარე ყვირილას ხარისხზე.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლებს, მისი შეგროვება მოხდება ტერიტორიაზე მოწყობილი საასენიზაციო ორმოს საშუალებით. ორმოს მომსახურეობა გათვალისწინებულია ზესტაფონის კომუნალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

ამდენად, საწარმოს წყალსარგებლობის მაჩვენებლების, წყალსარგებლობის ობიექტის ჰიდროლოგიური პარამეტრებისა და შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ზედაპირული წყლის რესურსებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი.

## 6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები პრაქტიკულად უნარჩენოა, ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ნარჩენების წარმოქმნა.

ინერტული მასალის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის დროს ნარჩენების წარმოქმნა არ ხდება. დახარისხების დროს მიღებული ყველა მასალა წვრილმარცვლოვანი ქვიშისა და სალექარში შეგროვებული შლამის ჩათვლით წარმოადგენს სასაქონლო პროდუქციას.

მანქანა-მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას ლითონის ჯართი, ტრანსპორტიორის დაზიანებული ლენტი, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები და სხვა. ნარჩენების წარმოქმნა ასევე შესაძლებელია ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრით ავტომანქანების გამართვისა და ნავთობდამჭერის მომსახურეობის დროს.

საწარმო ექსპლუატაციის ეტაპზე მოახდენს წარმოქმნილი და მოსალოდნელი ნარჩენების ინვენტარიზაციას და მათი წარმოქმნის შემთხვევაში შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორებზე გადაცემას.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაცემის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება ააიპ ზესტაფონის სპეციალურ სერვისებთან, რომლის მიერაც ტერიტორიაზე დადგმულია ნარჩენების სპეციალური კონტეინერი. ნარჩენების გატანა და პოლიგონზე განთავსება უზრუნველყოფილია წინასწარ შემუშავებული გრაფიკით.

კომპანია ნარჩენების მართვას განახორციელებს ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედის კანონმდებლობის შესაბამისად.

## **6.6. ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე**

როგორც მე-2 თავშია განხილული, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია წლების განმავლობაში სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებულ ტერიტორიაზე. განსახილველ ტერიტორიაზე 2018 წლამდე განთავსებული იყო სამეწარმეო დანიშნულების ობიექტები, თავისუფალი ტერიტორია მთლიანადაა დაფარული ღორღით, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენარჩუნებული არ არის, ამდენად საწარმოს მოწყობით ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე გავლენა მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება გრუნტის ხარისხზე უარყოფით გავლენას, აღნიშნული მოსალოდნელია სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრით, ან/და ნარჩენების არასათანადო მართვით გარემოს დაბინძურების შედეგად.

საწარმოში მკაცრად იქნება დაცული ნარჩენების მართვისა და უსაფრთხოების წესები, ტერიტორიაზე არ დაიშვება გაუმართავი და ისეთი სატრანსპორტო საშუალებელი, რომლიდანაც ჟონავს ზეთი. საწარმოს პერსონალი მზად იქნება ნავთობპროდუქტების შემთხვევითი დაღვრის დროს სასწრაფოდ მოახდინონ დაღვრის ლოკალიზება.

ამდენად, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესების დაცვის შემთხვევაში გრუნტის დაბინძურების რისკი იქნება დაბალი.

## **6.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე**

საწარმოს განთავსების ტერიტორია მდებარეობს სახელმწიფო მნიშვნელობის ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზის მიმდებარედ, რომლებზედაც სატრანსპორტო ნაკადები ინტენსიურია.

საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის შემოზიდვა განხორციელდება მდ. ყვირილას კალაპოტში არსებული უახლოესი კარიერებიდან. შპს „ალპედე“-ს ლიცენზირებული კარიერიდან საწარმომდე მისასვლელი გზა არ გაივლის დასახლებულ პუნქტს.

მიღებული პროდუქციის (ქვიშა-ღორღის) მნიშვნელოვანი ნაწილი მიეწოდება არსებულ ბეტონისა და სამშენებლო ბლოკის წარმოებას.

ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის საპროექტო წარმადობა შეადგენს სათში 30 მ<sup>3</sup>-ს (240 მ<sup>3</sup>-/დღ). 0-40 ფრაქციის ხაზის 1,24 ტ/დღ. ბეტონის წარმოების 15 ტ/სთ (120 ტ/დღ.), ხოლო ბლოკის წარმოება 200 ც/დღ. საჭირო მასალებიდან ტერიტორიაზე შემოსაზიდი იქნება მხოლოდ ქვიშა-ხრემი და ცემენტი, რომლის შემოსაზიდად საჭირო იქნება საშუალოდ 2-3-მდე გადაზიდვას საათში და 16 - 18 გადაზიდვა დღეში. წარმოებული ბეტონის ტერიტორიიდან გატანს დასჭირდება დღეში 14, საათში მაქსიმუმ 2 გადაზიდვა, სამშენებლო ბლოკის გაყიდვა გათვალისწინებულია ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო მასალების მაღაზიიდან, აღნიშნულიდან გაიყიდება ასევე ჭარბი ქვიშა-ლორღი. საწარმოს განთავსების ადგილის, ქვიშა-ხრემის კარიერებისა (კარიერიდან საწარმომდე გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე) და გზის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, აღნიშნული სატრანსპორტო ნაკადები ვერ მოადხენს მნიშვნელოვან გავლენას არსებულ ნაკადებზე.


ამასთან, 2018 წლამდე არსებული ბეტონისა და სამშენებლო ბლოკის წარმოებას საპროექტო პარამეტრებით მუშაობისათვის ნედლეულის შემოსაზიდად ესაჭიროებოდა 14-15 გადაზიდვა დღეში (42 725 მ<sup>3</sup>/წელ ქვიშა-ლორღი და 10 585 ტ/წელ ცემენტი). ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მოწყობის პირობებში სატრანსპორტო ნაკადების რაოდენობამ მოიმატა დღეში 3 გადაზიდვით, რაც იმდენად უმნიშვნელო რაოდენობაა, რომ ზემოქმედება შეიძლება ნულის ტოლად ჩაითვალოს.

## **6.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე**

განსახილველი საწარმოს განთავსების ადგილის უახლოეს დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს აჯამეთის აღკვეთილი, ზურმუხტის ქსელი (მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით ობიექტიდან 4,7 კმ მანძილის დაშორებით (ნახაზი 6.3). განსახილველი საწარმოს პროფილის, მასშტაბისა და დაცული ტერიტორიიდან დაცილების მანძილის გათვალისწინებით, მასზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენს.

რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედებას, განსახილველი საწარმოდან 1 კმ-იან რადიუსში არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (უახლოესი აგვეთას დედაღვთისას ეკლესია განთავსებულია ჩრდილოეთით 3 700 მ-ში). ამდენად მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ნახაზი 6.3.



### 6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოს მოწყობა დაიგეგმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების (საგზაო მშენებლობები) განხორციელებისათვის, რაც მნიშვნელოვნ როლს თამაშობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

საწარმოს მოწყობა, ექსპლუატაცია, სხვადასხვა მომსახურეობების შეყიდვა ასტუმულირებს მრეწველობის სხვადასხვა დარგების ფუნქციონირებას და განვითარებას.

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (დაახლოებით 10-მდე ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

შპს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

## 6.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და სამშენებლო დანადგარების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

საწარმოში დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების პირობები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ავარიული სიტუაციების და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა იქნება დაბალი.

## 6.11. ავარიული რისკები

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესს თან სდევს ავარიების წარმოქმნისა და გავრცელების რისკები, რასაც შესაძლებელია მოყვეს ადამიანების დაშავება და მატერიალური ზარალი.

ობიექტის ექსპლუატაცია დაკავშირებულია მძიმე ტექნიკის გამოყენებასა და სატრანსპორტო გადაზიდვებთან, ამიტომ არსებობს რისკი ავტომანქანების ერთმანეთთან შეჯახების ან საწარმოს სტაციონარულ ობიექტებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების დაშავება ან ხანძარი.

საწარმოს ექსპლუატაციის დროს ავარიების წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებულია უსაფრთხოების წესების უხეშ დარღვევასთან.

საწარმო შედის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულ „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში“, შესაბამისად ვალდებულია ექსპლუატაციის პროცესში გაითვალისწინოს შრომის უსაფრთხოების პირობები. საწარმოს ყავს თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო უსაფრთხოების წესების დაცვას, თანამშრომლებს სისტემატიურ ინსტრუქტაჟს, სახიფათო უბნებზე გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსებას, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებას.

ტექნოლოგიური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში ავარიული სიტუაციების რისკი იქნება დაბალი.

## 6.12. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისიების შემთხვევაში.

კუმულაციური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია:

- მავნე ნივთიერებათა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში;
- ხმაურის გავრცელება;
- ზედაპირული წყლების დაბინძურება;
- საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოს დაბინძურება.

როგორც მე-2 პარაგრაფებშია მოცემული, განსახილველი საწარმოს მიმდებარედ, ჩრდილოეთით განთავსებულია ერთი მოქმედი ობიექტი, ავტოგასამართი სადგური, საიდანაც მოსალოდნელია ნახშირწყალბადების ემისია. განსახილველი საწარმოს დიზელის გასამართი სვეტიდანაც მოსალოდნელია იგივე მავნე ნივთიერების გამოყოფა.

ჯამური ეფექტის მქონე მავნე ნივთიერების ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები მოცემულია ცხრილში 6.2.

ცხრილი 6.2.

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ <sup>3</sup>		მავნეობის საშიშროები ს კლასი
დასახელება	კოდი	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
ნახშირწყალბადები	2754	1,0	-	4

განსახილველი საწარმოდან გაფრქვეული ნახშირწყალბადების წამური ინტენსიობა შეადგენს 0,0001 გ/წმ და წლიური რაოდენობა - 0,0008ტ/წ, რაც იმდენად მცირეა, რომ დიზელის გამართვის წერტილშიც ვერ მიაღწევს ზღვ-ს მნიშვნელობამდე.

არაოფიციალური ინფორმაციით, საწარმოს ჩრდილოეთით არსებული აგს-ის რეალიზაცია არ აღემატება -- ბენზინი - 250 000 ლ/წელ, დიზელი - 150 000 ლ/წელ. „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №435)

შესაბამისად, ამ წარმადობის ავტოგასამართის მიერ გაფრქვეული ნახშირწყალბადების წამური ინტენსივობა იქნება 0,01131 გ/წმ. ხოლო წლიური რაოდენობა 0,3501 ტ/წელ. აღნიშნული გაფრქვევის ინტენსივობა იმდენად მცირეა, რომ აგს-ის ტერიტორიაზეც ვერ მიაღწევს ზღვ-ს.

ზემოაღნიშნულისა და ცხრილში მოცემული მნიშვნელობების შესაბამისად ჯამური ეფექტის ემისიები ორივე საწარმოდან იმდენად მცირეა, ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედება შეიძლება ნულის ტოლად ჩაითვალოს.

ხმაურზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან მიმდებარედ არსებულ ობიექტზე არ არის ხმაურის წარმომქმნელი დანადგარები.

ნარჩენების წარმოქმნა გავრცელებაზე კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელია განსახილველი და მეზობელი ავტოგასამართი სადგურის მიერ ნარჩენების მართვის წესების დარღვევის შემთხვევაში.

საწარმოს წყალჩაშვების წერტილიდან 500 მეტრში, მდინარის დინების მიმართულებით განთავსებულია მხოლოდ ერთი მოქმედი ობიექტი - ავტოგასამართი სადგური, რომლის საწარმოო მოედანი გადახურულია. ამდენად ავტოგასამართიდან სანიაღვრე წყლების ჩაშვება მოსალოდნელი არ არის.

განსახილველი საწარმოდან მდინარეში ჩაშვებული იქნება ავტოგასამართი მოედნის სანიაღვრე წყლები, სათანადო გაწმენდის შემდეგ, წელიწადში 9,828 მ<sup>3</sup>, ხოლო საათში 0,0435 მ<sup>3</sup>-ის რაოდენობით. სათანადო გაწმენდის პირობებში, ასეთი მოცულობით წყალჩაშვება ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მდინარე ყვირილას ფონურ მდგომარეობაზე.

თუ მეზობელ ობიექტზეც დაცული იქნება ჩამდინარე წყლების მართვის წესები, კუმულაციური ეფექტი იქნება ძალიან დაბალი.

### **6.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება**

საწარმოს ტიპის, წარმადობის, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეობისა და მასშტაბის, ასევე მისი განთავსების ტერიტორიის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.



## 7. საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე

### ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი

შპს „ალპედ“-ს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი, ბეტონის ხსნარისა და ბეტონის ნაკეთობათა საწარმო ექსპლუატაციის შედეგად, ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წინასწარი შეფასებით მიღებული დასკვნები მოცემულია ცხრილში 7.1.

ცხრილი 7.1.

№	გარემოს კომპონენტები	ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი
1	<b>ბუნებრივი გარემო</b>	
1.1.	ატმოსფერული ჰაერი	დაბალი უარყოფითი
1.2.	ხმაური	დაბალი უარყოფითი
1.3.	ნიადაგი	არაა მოსალოდნელი
1.4.	ბუნებრივი ლანდშაფტები ფლორა და ფაუნა	უმნიშვნელო უარყოფითი
1.5.	წყლის რესურსები	არაა მოსალოდნელი
1.6.	დაცული ტერიტორიები	არაა მოსალოდნელი
1.7.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	არაა მოსალოდნელი
1.8.	ნარჩენების წარმოქმნა	უმნიშვნელო უარყოფითი
1.9.	კუმულაციური ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
1.10	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
2	<b>სოციალურ-ეკონომიკური გარემო</b>	
2.1.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	საშუალო უარყოფითი
2.2.	ადამიანების დასაქმება	საშუალო დადებითი
2.3.	ეკონომიკური მდგომარეობა	საშუალო დადებითი

დასასრულებო

დანართი 1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება.



ზესტაფონის რაიონული სასამართლო

28 ივლისი 2021 წ.

N 4/24-2021

ბატონ გიორგი კოვზირიძეს  
შპს „ალპედეს“ დირექტორს პ/ნ 18001013925  
ზესტაფონი, სტაროსელსკის ქუჩა N22  
ტ. 599 73 67 67

გეგზავნებათ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

პატივისცემით,

ფატმან ჭანტურიძე  
მოსამართლის თანაშემწე

2000 ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა № 7 ტელ.: (995 491) 25-28- 74 ფაქსი.: (995 491) 25-09-81

zestafoni@court.gov.ge



**დადგენილება**  
საქართველოს სახელით

ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე

17 თებერვალი, 2021 წელი

ქ. ზესტაფონი

ზესტაფონის რაიონული სასამართლო მოსამართლე - ზურაბ ბალავაძე  
სხდომის მდივანი - თამარ გელაშვილი

**ოქმის შემდგენი** - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველო;

წარმომადგენელი - ომარ ქუთათელაძე;

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევი პირი** - შპს „ალპედე“ (ს/კ 230077582, მისამართი: ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქუჩა N22);


წარმომადგენელი - მახლაზ ლოლაძე;

სასამართლომ განიხილა მასალები შპს „ალპედეს“ მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლით, 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 79<sup>7</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით, 82<sup>2</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2021 წლის 5 თებერვალს, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოდან, განსახილველად შემოვიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები შპს „ალპედეს“ მიმართ, ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლით, 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 79<sup>7</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით, 82<sup>2</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 16 თებერვალის დადგენილებით ერთ



წარმოებად გაერთიანდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები №4/25-2021 და №4/24-2021 შპს "აპედეს" მიმართ და საქმეს მიენიჭა №4/24-2021.

**წარმოდგენილი სამართალდარღვევის მასალებით და სასამართლო განხილვისას დადგენილია, რომ:**

2020 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული დათვალიერება/შესწავლის დროს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ სვირში არსებული შპს „ალპედეს“ კუთვნილი სამშენებლო ბლოკისა და ქვიშა-ხრემის სამსხვრევი საამქრო ფუნქციონირებდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით კერძოდ, სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელებით. საწარმოს მოწყობილი აქვს მეორე, სამსხვრევი უბანი (ყბებიანი სამსხვრევი), სადაც მშრალი მეთოდით ხდება მსხვილ ფრაქციული ნედლეულის - ქვიშა - ხრემის მიღება. მეორე სამსხვრევი უბანი საწარმოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდება 2019 წლის ივლისის თვეში საწარმოს დათვალიერების აქტის შესაბამისად. ასევე გამოვლინდა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა, საწარმოს ტერიტორიაზე არსებული დიზელის საწვავით, ავტომანქანების გასამართი სადგური ფუნქციონირებდა ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურებისა წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის გარეშე. აღნიშნულის გამო, შპს „ალპედეს“ მიმართ, 2021 წლის 27 იანვარს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №059765, ადსკ 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 79<sup>7</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით, 82<sup>2</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის.

2020 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული დათვალიერება/შესწავლის დროს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ სვირში არსებული შპს „ალპედეს“ კუთვნილი სამშენებლო ბლოკისა და ქვიშა-ხრემის სამსხვრევი საამქრო ფუნქციონირებდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ საწარმოს სველი მეთოდით სამსხვრევე უბანზე საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ინერტული ნარჩენით (შლამებით) დაბინძურებულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 404,53 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ასევე, დარღვეული იყო ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნები - ობიექტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები განთავსებული იყო ღია ცისქვეშ სპეციალური დანიშნულების კონტეინერის გარეშე. აღნიშნულის გამო, შპს „ალპედეს“ მიმართ, 2021 წლის 27 იანვარს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №059764, ადსკ 52-ე მუხლით და ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტება:**

სასამართლო სხდომაზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს წარმომადგენელი, ომარ ქუთათელაძე დაეთანხმა წარმოდგენილ ოქმებს.



**ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის განმარტება:**

სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის წარმომადგენელი - მალხაზ ლოლაძე არ დაეთანხმა სამართალდარღვევის ოქმებს და განმარტა, რომ შლამი რომელიც არის განთავსებული საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოქმნილი იყო მდინარიდან. ასევე, განმარტა, რომ საწარმოს ტერიტორია დაასუფთავეს საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენებისგან.

**წერილობითი მტკიცებულებები:**

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი 059764;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი 059765;
- 2020 წლის 28 დეკემბრის აქტი;
- წერილი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან;
- დავით ხაჭაპურიძის მოხსენებით ბარათი;
- გარემოზე მიყენებული ზიანის გამოანგარიშება;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო პირების რეესტრიდან;
- ფოტოვიდეოსტრატეგია
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ცნობა;
- გიორგი კოვზირიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა;
- სასაქონლო ზედნადებების ცხრილები;
- წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე ტექნიკური პირობები;
- მავნე ნივთიერებათა სახელმწიფო აღრიცხვის ფორმები;
- შპს „ალპედეს“ ქვიშა- ხრეშის სამსხვრევე საწარმოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათი მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

**წარმოდგენილი და სასამართლო განხილვისას მიღებული მტკიცებულებების შეფასება და დასკვნები (მოტივაცია):**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების პრიორიტეტია ადმინისტრაციული გადაცდომის (დელიქტის) ჩადენის შემთხვევაში სამართალდარღვევის ჩამდენი პირების პასუხისგებაში მიცემა და შესაბამისად, გადაცდომის თავიდან აცილება, კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ კანონმდებლობას განაპირობებს კერძო პირის ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე და მის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სასამართლო, ასევე, მოიხმობს ხსენებული საკანონმდებლო აქტის მე-8 მუხლს, რომელიც ადგენს, რომ არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, მიწის დაბინძურება, დეგრადაცია ან სხვაგვარი გაუვარდისება – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 800 ლარამდე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობა ან მისი უქონლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება ან სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება – გამოიწვევს დაჯარიმებას 7 000-დან 10 000 ლარამდე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82<sup>2</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან სხვა ქმედება, ჩადენილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების არადანიშნულების კონტეინერში (მათ შორის, მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების კონტეინერში) მოთავსება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის დაჯარიმებაზე



გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობის საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს.

სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

მითითებული საკანონმდებლო აქტის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში, ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე გამოარკვეოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით (რომლიც შედგენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით) და მხარეთა ახსნა-განმარტებებით, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია შპს „ალპედეს“ მიერ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლით, 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 79<sup>7</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით, 82<sup>2</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და იგი ბრალეულია ამ ქმედებების ჩადენაში.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტირების განყოფილების 2021 წლის 27 იანვრის გაანგარიშების თანახმად, შპს „ალპედეს“ მიერ 404,53 კვ.მ ინერტული ნარჩენით დაბინძურებით გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 3 343,39 ლარი (სამიათას სამას ორმოცდასამი ლარი და ოცდაცხრამეტი თეთრი), რომლის ანაზღაურებაც, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროს შპს „ალპედეს“.





საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი მას დაედება თითოეული სამართალდარღვევისთვის ცალ-ცალკე. თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის. შესაბამისად, რადგან შპს „ალპედეს“ მიერ ჩადენილია რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლისა, მას თითოეული სამართალდარღვევისათვის უნდა დაედოს ცალ-ცალკე სახდელი, ხოლო საბოლოო სახდელი უნდა დაედოს იმ მუხლის სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. შესაბამისად, შპს „ალპედეს“ საბოლოო სახდელი უნდა განესაზღვროს აღნიშნული მუხლის სანქციის ფარგლებში. სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით, სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი (აღსკ 33-ე მუხლი).

ადმინისტრაციული სახდელის სახის განსაზღვრისას, სასამართლო, ითვალისწინებს შპს „ალპედეს“ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „ალპედეს“ მიმართ, ადმინისტრაციული სახდელის სახედ და ზომად გამოყენებული უნდა იქნეს: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლით - ჯარიმა 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით, 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, 79<sup>ე</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 8 000 (რვა ათასი) ლარის ოდენობით, 82<sup>ე</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ; საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით - ჯარიმა 10 000 (ათიათასი) ლარის ოდენობით; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საბოლოოდ შპს „ალპედეს“ ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სახდელად უნდა განესაზღვროს - ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული სახდელით უზრუნველყოფილი იქნება ადმინისტრაციული სახდელის მიზნები. სასამართლო განუმარტავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს, რომ ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლი).

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე 77-ე, 79<sup>7</sup>, 82<sup>2</sup>-ე, 266-267-ე, 271-ე, 273-ე მუხლებით, ნარჩენების მართვის კოდექსით და

### და ა დ გ ი ნ ა :


1. შპს „ალპედე“ ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლით, 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 79<sup>7</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით, 82<sup>2</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით, ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახედ და ზომად განესაზღვროს;
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლით - ჯარიმა 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით;
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 8000 (რვა ათასი) ლარის ოდენობით;
5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82<sup>2</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
6. საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით - ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით;
7. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის საფუძველზე, საბოლოოდ შპს „შპს ალპედეს“ სახდელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. ჯარიმის თანხა ჩაირიცხოს №302003541 კოდზე;
8. დამრღვევი ვალდებულია, დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 7 დღისა და წარმოადგინოს მისი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად;
9. შპს „ალპედეს“ დაეკისროს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება 3343.39 (სამიათას სამას ორმოცდასამი ლარი და ოცდაცხრამეტი თეთრი) ლარის ოდენობით. რომელიც ჩაირიცხოს ანგარიშზე - 302003581. დამრღვევი ვალდებულია ზიანის თანხა გადაიხადოს დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 15 დღისა და წარმოადგინოს მისი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად;
10. დადგენილების შესახებ მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში ეცნობოს საქართველოს



შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ დეპარტამენტს და დადგენილების ასლი გადაეცეთ მხარეებს;

11. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთათვის გადაცემიდან 10 (ათი) დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ.ქუთაისში, ნიუპორტის ქუჩა №32-ში), ზესტაფონის რაიონული სასამართლოს (მდებარე: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა №7) მეშვეობით.

მოსამართლე



ზურაბ ბალავაძე

ასლი დეკანოზან სწორია  
ზანთაფონის რაიონული სასამართლო  
საღმარა:   
28 ივლისი 2021

## დანართი 2. ნაკვეთი 32.11.31.819 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.



მისი (კარგი ქონების) საკლასიფიკაციო კოდი N 32.11.31.819

### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882020219976 - 25/03/2020 12:37:34

მომზადების თარიღი  
27/03/2020 12:14:04

### საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი:საკუთრება
შესტაფონი	I სფირი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
32	11	31	819	დამუსტებული ფართობი: 4330.00 კვ.მ.
მისამართი: მუნიციპალიტეტი შესტაფონი, სოფელი				ნაკვეთის წინა ნომერი:
პირველი სფირი				

### შესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020219976 , თარიღი 25/03/2020 12:37:34  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/03/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზაციისას ნაცხადის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:25/03/2020 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

შესაკუთრები:

შპს "ალპელე" , ID ნომერი:230077582

შესაკუთრე:

შპს "ალპელე"

აღწერა:

საგადასახადო გირაფინობა:

- საგადასახადო გირაფინობა/იპოთეკა: 102020100953 18/03/2020 10:29:23  
შპს შპს ალპელე ს/ნ 230077582  
საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება  
საფუძველი: შეგობინება, N047683, 18.03.2020, შემოსავლების სამსახური

### იპოთეკა ვაღივებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

• მოხელე: DE20050763 26/03/2020 09:46:35

შპს ალპელ 230077582

საფუძველი: აღმასრულებელი: საღობე აბრამიშვილი სუბიექტის დამატება მოხელეთა რეესტრში 26.03.2020 # A20028367-004

---

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წლის განხვდობაში 1000 ლარის ან მეტო დარბულების ქონების სანქცრად მიღების სამქმისიელი გადასახადი გადახდის ექვემდებარება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვადლებულების შექსრულებლია წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პისქისმუგებლობის საქროიელდის საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დეკლარაციის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერაგორიულ სარეესტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლურსა და სააგენტოს აუციონებულ პარტიბაში;
- ამონაწერში გვენიკური ხარეულის აღმისქნის შემთხვევაში დავა კავშირდით: 2 405405 ან პარალელ შეატყიო გინაცხილი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელია მზადან უკანონო ქმელების შემთხვევაში დავა კავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტაით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

# დანართი 3. ნაკვეთი 32.11.31.041 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.



მწიკს (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 32.11.31.041**

## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 892018693499 - 07/08/2018 14:28:49

მომზადების თარიღი  
13/08/2018 16:26:40

### საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
შესტაფონი	I სფირი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
<b>32</b>	<b>11</b>	<b>31</b>	<b>041</b>	დამუსტგებული ფართობი: 4345.00 კვ.მ.
მისამართი: რაიონი შესტაფონი , სოფელი პირველი სფირი				ნაკვეთის წინა ნომერი:
				შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01/1 განაშენიანების ფართობი 661 კვმ, N 02/1 განაშენიანების ფართობი 661 კვმ, N 03/1 განაშენიანების ფართობი 13 კვმ, 04/1 განაშენიანების ფართობი 9 კვმ
				შენიშვნა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 1307.15

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018424500 , თარიღი 18/05/2018 13:56:44  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/05/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზაციისას ნახცილობის ხელშეკრულება 2012060516050 უ.უ , დამოწმების თარიღი:20/07/2012 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:  
ამირან ლეკანოსიძე ,P/N: 18001003684

მესაკუთრე: აღწერა:  
ამირან ლეკანოსიძე

### იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

### ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

"უმაკრეს პარის მერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური ბუნების რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი დარბულების ქონების საჩუქრად მღვდლის სამეცნიერო გადასახადო გაღების ექვემდებარება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებ აღნიშნული უმაკრეს პარი იმავე ვადაში წარუდგინს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვადებულების შევსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის, რაც იწვევს პასუხისმგებლობის საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხედვით."

- დეკლარაციის წამოყვანის გადასაწყვეტად შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გრაფიკულ ხარვესტრაციო ხაზხაზურმა, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პარტნიორს;
- ამონაწერში გვეჩიკრი ხარვესის აღმოსენის შემთხვევაში დაცვაკავშირდით: 2 405405 ან პარადდ შეტყვის განიხიდი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელია მზადან უკანონო ქველების შემთხვევაში დაცვაკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხის დაკავშირებით მოგვეწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

# დანართი 4. ნაკვეთი 32.11.31.306 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.



მწიკს (კარგი ქონების) საკლასიფიკაციო კოდი N 32.11.31.306

## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882020222164 - 27/03/2020 14:26:15

მომზადების თარიღი  
08/05/2020 18:04:55

### საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი:საკუთრება
შესტაფონი	I სეიონი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
32	11	31	306	დამუსტგებული ფართობი: 9985.00 კვ.მ.
მისამართი: რაიონი შესტაფონი , სოფელი პირველი სეიონი				ნაკვეთის წინა ნომერი:

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020222164 , თარიღი 27/03/2020 14:26:15  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/05/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწვევები N118088 , დამოწმების თარიღი:06/05/2020 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- საკუთრების მოწმობა N138 , დამოწმების თარიღი:19/09/2008 , შესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესაკუთრები:

ამირან ლეკანოსიძე ,P/N: 18001003684

მესაკუთრე:

ამირან ლეკანოსიძე

აღწერა:

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

### იპოთეკა ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის



